რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა

08 აგვისტო 2018

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა მემორიალთან ომის თემაზე შექმნილი ვიდეო ინსტალაციით 10 წლის წინ მიმდინარე მოვლენები გაიხსენეს. ღონისძებას შიდა ქართლის რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილე, სიმონ გულედანი, გორის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტიმე თავზარაშვილი, გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტ მეუფე ანდრია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ. შეკრებილებმა გვირგვინებით შეამკეს მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილთა სულებს. ამის შემდეგ კი ვიდეო ეფექტებით, სპეციალურად მოწყობილ 16 ეკრანზე გაცოცხლდა ომის კადრები, სადაც ნაჩვენები იყო ომში დაღუპული გმირების ფოტოები.